



**ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი**

**განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა  
(2013-2018)**

**ნდ №2-030102-07-18.02.13**

**ბათუმი**

**2015**

## განვითარების სტრატეგიული გეგმა

- ❑ **I ეტაპი (2013-2015 წწ.)** - სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების ინოვაციური სისტემის შექმნა, ადამიანური, მატერიალური, ფინანსური და საინფორმაციო რესურსების კონცენტრაციის საფუძველზე სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის შინაარსობრივი, მეთოდოლოგიური, საორგანიზაციო და სამეცნიერო სფეროების სრულყოფა და თანამედროვე კონკურენტუნარიანი ინოვაციური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება;
- ❑ **II ეტაპი (2016-2018 წწ.)** –სასწავლო უნივერსიტეტის, როგორც ახალი ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულების, ჩამოყალიბების დასრულება, რაც უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის მისიის წარმატებულ რეალიზებას და სასწავლო უნივერსიტეტის მდგრად განვითარებას.

## ადამიანური რესურსები

- ❑ არჩეულ იქნა 22 პროფესორი
- ❑ მოწვეულ იქნა 10 კვალიფიციური სპეციალისტი

სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, მოწვეული სპეციალისტების, ინსტრუქტორების, მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული გადამზადების ხელშეწყობა:

- ❑ გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები გაიარა 10 აკადემიურმა და მასწავლებელთა პერსონალმა
- ❑ გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები გაიარა 20 ინსტრუქტორმა
- ❑ ახალგაზრდა კადრების პროფესიული ზრდის ხელშეწყობის მიზნით 2 სპეციალისტს დაუფინანსდა დოქტორანტურაში სწავლება
- ❑ განხორცილდა სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადება

# ინოვაციური სისტემის შექმნა

- საგანმანათლებლო პროცესში ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვა:
  - ✓ სასწავლო პროცესში მულტიმედიის საშუალებების გამოყენება
  - ✓ სასწავლო პროცესში ტრენაჟორებისა და სიმულატორების გამოყენება
  
- სწავლების ინოვაციური მეთოდოლოგიების დანერგვა:
  - ✓ ტრენინგი „აქტიური სწავლება უმაღლეს განათლებაში“

## მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი გაუმჯობესება

- სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზება და განვითარება, თანამედროვე მოთხოვნათა და საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, კომპიუტერული ტექნიკის, სააუდიტორიო და ლაბორატორიული, ბიბლიოთეკის, სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის შეკეთება და განახლება:

- ▶ აუდიტორიების მულტიმედიის საშუალებებით აღჭურვა (კომპიუტერით, პროექტორით, ტელევიზორებით და სხვა) 19 აუდიტორია - 7 სსმც-ში 12 ბნსუ-ში
- ▶ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გაზრდა, ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა
- ▶ მოდერნიზება გაუკეთდა ქიმია-ფიზიკისა და ლოგისტიკის ლაბორატორიებს
- ▶ პნევმატიკის, ჰიდრაულიკის, ავტომატიკის, ელექტრო ლაბორატორიების შექმნა
- ▶ რეფრეჟერატორული ლაბორატორიის შექმნა
- ▶ მოეწყო მექანიკური და ელექტროსაშემდუღებლო სახელოსნო
- ▶ სამანქანო განყოფილების ოთახი
- ▶ სანაპირო ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორის მოწყობა

## მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი გაუმჯობესება

- ▶ პირადი გადარჩენის და უსაფრთხოების ტექნიკის კაბინეტის მოწყობა (სამაშველო ჟილეტები, სამაშველო ტივი, ჰიდროკოსტიუმები, აუზი და სხვა)
- ▶ სამაშველო ნავის ტრენაჟორის მოწყობა
- ▶ სამანქანე განყოფილების რესურსების მართვის სიმულატორის მოდერნიზება
- ▶ ელექტრონული სანავიგაციო-საინფორმაციო კარტოგრაფიული სისტემების ტრენაჟორის შესყიდვა
- ▶ სანავიგაციო ხიდურის რესურსების მართვის სიმულატორის მოდერნიზება
- ▶ უბედურების შემთხვევაში კავშირგამულობის გლობალური საზღვაო სისტემების სიმულატორის მოდერნიზება
- ▶ ტანკერზე სატვირთო-საბალასტო ოპერაციების მართვის სიმულატორის განახლება
- ▶ სასწავლო-საწვრთნელი გემი "ელიტას" აღჭურვა

## აკადემიური უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება და მოდერნიზება

- ❑ მრავალსაფეხურებრივი უწყვეტი განათლების სისტემის შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით შემუშავდა „სატრანსპორტო ლოგისტიკის“ სამაგისტრო პროგრამა
- ❑ მომზადდა ინგლისურენოვანი პროგრამები:
  - ✓ საბაკალავრო - საზღვაო ნავიგაცია
  - ✓ პროფესიული - გემბანის მეზღვაური, სამანქანე განყოფილების მეზღვაური, ლოგისტიკის ოპერატორი, ექთნის თანაშემწე
- ❑ 1978 წლის მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტაზე დგომის საერთაშორისო კონვენციის (STCW 1978) 2010 წლის მანილას დამატებების თანახმად განახლდა:
  - ✓ საბაკალავრო პროგრამები: გემის მექანიკა, საზღვაო ნავიგაცია
  - ✓ პროფესიული პროგრამები: გემბანის მეზღვაური, სამანქანე განყოფილების მეზღვაური, გემის მზარეული, გემის ელექტრიკოსი.
  - ✓ საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრის სასწავლო-საწვრთნელი კურსები/პროგრამები
- ❑ მომზადდა ერთობლივი პროგრამა ”გემის მექანიკა” ნიკოლაევის გემთმშენებლობის ეროვნულ უნივერსიტეტთან
- ❑ მომზადდა 15 ქართულენოვანი სალექციო კურსი
- ❑ ქართულ ენაზე ითარგმნა 4 სახელმძღვანელო

## სამეცნიერო-კვლევითი, მათ შორის, საერთაშორისო კონფერენციების, სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარების და ტრენინგები, პროექტებში მონაწილეობა


- ❑ 2013 და 2014 წელს ჩატარდა შიდასაუნივერსიტეტო მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია
- ❑ 2013 წელს ჩატარდა კონფერენცია - ტრანსპორტირების ლოგისტიკური პროცედურები. ლოგისტიკა და რეგიონის ინოვაციური ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის პროგრამა 2030 წლამდე
- ❑ 2014 წელს სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კათედრაზე ჩატარდა მეთოდური სემინარი თემაზე: „კრიტიკული აზროვნების განვითარება სალექციო პროცესში“
- ❑ 2015 წელს ჩატარდა საერთაშორისო პრაქტიკული კონფერენცია სახელწოდებით „თანამედროვე მენეჯმენტი: პრობლემები, კვლევები, ჰიპოთეზები“. კონფერენციაში ქართველ მეცნიერებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანის, უკრაინის, თურქეთის, სლოვაკეთის, პოლონეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო საზოგადოებების წარმომადგენლებმა
- ❑ ბნსუმ მიიღო მონაწილეობა ევროკომისიის პროექტში „კვლევა და ინოვაცია“ სახელწოდებით „თანამშრომლობა საზღვაო ავარიების კვლევის სფეროში“. საქართველოსთან ერთად ღებულობდნენ მონაწილეობას უცხო ქვეყნების საგანმანათლებლო დაწესებულებები (ოდესის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვაო აკადემია და სხვა)
- ❑ ჩატარდა სემინარი-„ლოგისტიკური გადაზიდვები“




## გარე შემოწმებები

- ❑ 2012 წლის ბოლოს ბნსუ-მა გაიარა ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოს (EMSA) უდიტი მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების სტანდარტებთან შესაბამისობაზე. 2013 წელს ევროკავშირის მიერ იქნა მიღებული გადაწყვეტილება ქართველი მეზღვაურების კომპეტენციის სერტიფიკატების აღიარების შესახებ
- ❑ 2013 წელს ბნსუს საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრმა გაიარა საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს აუდიტი საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების და მათი საზღვაო-საწვრთნელი კურსების (პროგრამების) აღიარების მიზნით. აუდიტის შედეგად ცენტრს მიენიჭა აღიარების სერტიფიკატი 5 წლის ვადით.
- ❑ ბნსუ წელიწადში ორჯერ სისტემატურად გადის საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს გეგმიურ აუდიტს
- ❑ ბნსუ 2014 წელს გაიარა ხარისხის მენეჯმენტის სისტემის რესერტიფიკაცია. მიენიჭა ხარისხის სისტემის მართვის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2008 შესაბამისობის სერტიფიკატი და IQNet სერტიფიკატი სამი წლის ვადით. ბნსუ ყოველწლიურად გადის ინსპექციურ აუდიტს საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2008 მოთხოვნების შესაბამისობაზე.
- ❑ 2015 წელს საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარების სერტიფიკატი მიენიჭა 20 სასწავლო კურსის პროგრამას 2 წლის ვადით.


# ხარისხის გარე შემოწმებების დროს გამოვლენილი შეუსაბამობები წლების მიხედვით




# ხარისხის შიდა შემოწმებების დროს გამოვლენილი შეუსაბამობები წლების მიხედვით




# ბიბლიოთეკაში წიგნების რაოდენობა წლების მიხედვით




# მსმენელების რაოდენობა წლების მიხედვით



# საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტზე მიღებული სტუდენტების რაოდენობა წლების მიხედვით



# ლოგისტიკის ფაკულტეტზე მიღებულ სტუდენტთა რაოდენობა წლების მიხედვით



## ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესები ბნსუ-ში

1. ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პირობების შესრულების სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით 2012 წლის 22 აგვისტოდან 25 აგვისტოს ჩათვლით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მონიტორინგის სამსახურის მიერ ბნსუში განხორციელდა მონიტორინგი. გამოვლენილი ხარვეზები გათვალისწინებული და აღმოფხვრილ იქნა.
2. 2012 წლის 15-18 ოქტომბერს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა შემოწმება ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაზე. შედეგად გამოვლენილ იქნა ხარვეზები, რის გამოც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის (ოქმი №26 16.11.2012.) გადაწყვეტილებით ბნსუს უარი ეთქვა ავტორიზაციაზე.
3. ბნსუ საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის ნავიგაციის, მექანიკის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა და ლოგისტიკის, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრებზე განხილულ და აღმოფხვრილ იქნა დასკვნაში მითითებული ხარვეზები.
4. 2012 წლის 19 ნოემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაიგზავნა წერილი (№02/1289) ბნსუ ავტორიზაციაზე განაცხადთან დაკავშირებით.



## ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესები ბნსუ-ში

5. 2012 წლის 6-8 დეკემბერს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა შენიშვნების აღმოფხვრა და მათი დასკვნების საფუძველზე საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 15 თებერვლის №04 გადაწყვეტილებით შპს-ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს 5 წლის ვადით მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

6. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2013 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია.

გადაწყვეტილება №190 10.12.2013-საზღვაო ნავიგაციის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია.

გადაწყვეტილება №191 10.12.2013-გემის მექანიკის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია.

გადაწყვეტილება №192 10.12.2013-საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზაციისა და მართვის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია.

გადაწყვეტილება №193 10.12.2013-სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია.

## ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესები ბნსუ-ში

2014 წლის გაზაფხულზე ბნსუ-სა და ნიკოლაევის ადმირალ მაკაროვის სახელობის ეროვნულ გემთმშენებელ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე დაიწყო მუშაობა ახალ აბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „გემის ენერგეტიკული დანადგარები“  
(ბნსუ აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი N3, 14.04.2014).

2015 წელს დასრულდა აღნიშნულ პროგრამაზე მუშაობა.

2015 წლის აკრედიტაციის საბჭოს სხდომის N 8 ოქმის შესაბამისად, ერთობლივ, ორენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „გემის ენერგეტიკული დანადგარები“ მიენიჭა აკრედიტაცია.

2016-17 სასწავლო წლიდან გამოცხადებულია აღნიშნულ პროგრამაზე მიღება.

# ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგი გამოკითხვები

განათლების ხარისხის მონიტორინგის მიზნით ბნსუ-ში ყოველ სასწავლო  
სემესტრში ტარდება შემდეგი გამოკითხვები:

1. სტუდენტთა სასწავლო პროცესით კმაყოფილების ანონიმური გამოკითხვა;
2. სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვა თითოეული სასწავლო კურსით  
კმაყოფილებასთან დაკავშირებით;
3. პროფესორთა და ლექტორ-მასწავლებელთა კმაყოფილების ანონიმური  
გამოკითხვა;
4. პროფესორთა და ლექტორ-მასწავლებელთა სამუშაო პირობებით  
კმაყოფილების გამოკითხვა;
5. პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვა.

ასევე, სასწავლო პროცესის უწყვეტი მონიტორინგის პროცედურა - ლექციებზე  
ურთიერთდასწრება, რომელსაც 2015-16 სასწავლო წლიდან დაემატა საჯარო  
ლექცია-პრეზენტაციის მომზადებისა და შეფასების პროცესი.

ყოველი ზემოაღნიშნული პროცედურისათვის დაწესებულებაში არსებობს ხუს-  
ის მიერ შემუშავებული და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ  
დამტკიცებული სტანდარტული ანკეტები და შეფასები ფორმები.

# 2013-15 წლები SWOT ანალიზი

## შიდა გარემო

### ძლიერი მხარეები - Strengths

- კაპიტალური შენობა;
- სრულად აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- ახალი საერთაშორისო კონტაქტები;
- საერთაშორისო კონფერენციების მოწყობა-ჩატარების აპრობირებული პრაქტიკა;
- ბიბლიოთეკის წიგნადი (მ.შ. ელექტრონული) ფონდი;
- მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერ-სონალი;
- საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის მა-ტერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველ-ყოფა;
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
- ინტერნეტით შეუფერხებელი უზრუნველყოფა;
- მოკლევადიანი (ერთწლიანი) და გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ლექტორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები - სწავლისა და სწავლების უახლესი მეთოდების ტრენინგები, ინსტრუქტორთა საერთაშორისო გადამზადება;
- ლექციების ჩატარების აქტიური მონიტორინგი;
- ვიტერსბის ელექტრონული საბიბლიოთეკო ქსელის წევრობა;
- სტუდენტების აქტიური მონაწილეობა ყოველწლიურ სტუდენტურ კონფერენციებში;
- სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის გასავლელად გა-ფორ-მებული მემორანდუმები შესაბამის ორგანიზა-ციებთან;
- დამსაქმებლების აქტიური ჩართულობა სასწავლო პროგრამების შედგენაში;

### სუსტი მხარეები - Weaknesses

- სტუდენტები უფრო მეტად უნდა იყონ ჩართულები სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალი უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს სწავლების ახალი მეთოდების დანერგვაში;
- სტუსტუდენტთა ელექტრონული კვისების არარსებობა;
- ბნსუ-ს დოკუმენტთა ერთიანი ელექტრონული ქსელის გაუმართავობა;
- უცხოენოვან სახელმძვანელოთა თარგმნისა და გამოცემის პროცესის ნელი ტემპები;
- არასაკმარისი სარეკლამო და PR საქმიანობა;
- კორპორაციული ეთიკის ხარვეზები.

# 2013-15 წლები SWOT ანალიზი

გარე ფაქტორები	
შესაძლებლობები - Opportunities	საფრთხეები, რისკები - Threats
<ul style="list-style-type: none"> <li>• საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა;</li> <li>• საზღვაო და ლოგისტიკის დარგების უცხოელი სპეციალისტების მოწვევა სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიზნით;</li> <li>• სტუდენტური თვითმმართველობის პროექტების რეალიზება;</li> <li>• საუნივერსიტეტო სპორტული ცენტრის მოწყობა;</li> <li>• ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება;</li> <li>• სტუდენტთა დახმარების სერვისის სრულყოფა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მიგრაციული პროცესები;</li> <li>• ბიზნესის სფეროში დასაქმების ბაზარზე სპეცია-ლისტ-თა მაღალი კონკურენცია;</li> <li>• განათლების ბაზარზე მუდმივად მზარდი კონკუ-რენ-ცია;</li> <li>• კერძო სასწავლო დაწესებულებებისადმი საზოგადოების სტერეოტიპული დამოკიდებულება.</li> </ul>



გმადლობთ ყურადღებისთვის!

ანგარიში მოამზადა:  
ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურის უფროსი:  
ხარისხის მენეჯერი:  
ხარისხის მთავარი სპეციალისტი:

პროფ. ნ. მიქელთაძე  
ო. ცინცაძე  
ე. ჩიქოვანი